ხელშეკრულება N2703030702/20/38/დ
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი | დეკემბერი 2020 წელი

1. ხელშეკრულების მხარეები

1.1. ერთი მხრივ, სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო (შემდგომში - „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის მოადგილის, ლევან გოგოძის სახით და მეორე მხრივ, შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“ (შემდგომში - „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის ნუგზარ ბოლქვაძის სახით, ვხელმძღვანელობთ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის „2020 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის N674 დადგენილებით“, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით, „სპეცდაფინანსებაზე მყოფი სამედიცინო დაწესებულებებისათვის სპეცდაფინანსების დამატების ან სამედიცინო მომსახურების გამწევი სხვა დაწესებულებებისათვის/ფიზიკური პირებისათვის სპეცდაფინანსების საჭიროების ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 8 იანვრის N01–7/ო ბრძანების გათვალისწინებით და „მიმწოდებლის“ 2020 წლის 8 დეკემბრის N13/452 წერილის თანახმად, ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის (CPV კოდი 85100000) შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს საქართველოს მთავრობის „2020 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის N674 დადგენილებით (შემდგომში „დადგენილება“) დამტკიცებული „სპეცდაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებების მიერ შესაბამისი ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურების მიწოდება და სასწრაფო სამედიცინო დახმარების“ (დანართი N17.2), სახელმწიფო პროგრამის (შემდგომში - „პროგრამა“) მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სპეცდაფინანსებაზე მყოფი სამედიცინო დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით, დამატებითი ღონისძიებების განხორციელების უზრუნველყოფა.

3. მომსახურების გაწევის პირობები

3.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება განხორციელდა 2020 წლის 1 ნოემბრიდან 30 ნოემბრის ჩათვლით.

3.2. მომსახურების გაწევა განხორციელდა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, მათ შორის „დადგენილებით“ გათვალისწინებული და/ან „შემსყიდველის“ მიერ განსაზღვრული (ამ უკანასკნელის არსებობის შემთხვევაში) მოთხოვნების შესაბამისად.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს არა უმეტეს 180 688.38 (ას ოთხმოცი ათას ექვსასოთხმოცდარვა ლარი და 38 თეთრი) ლარს.

4.2. თითოეული სამედიცინო დაწესებულებისთვის ასანაზღაურებელი თანხა მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართში N1.

4.3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება, მოიცავს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, რომლის გადახდა ეკისრება „მიმწოდებელს“.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

5.1.1. ზედმიწევნით და განუხრელად დაიცვას „დადგენილების“ და წინამდებარე ხელშეკრულების პირობები;

5.1.2. გაარკვიოს პაციენტი (ან მისი წარმომადგენელი) თავის (პაციენტის) უფლება-მოვალეობებში და მისცეს საჭირო ახსნა განმარტებები პროგრამის იმ ნაწილის შესახებ, რომელიც ეხება პაციენტს;

5.1.3. პროგრამის მოთხოვნის სრული დაცვით აღმოუჩინოს (გაუწიოს) შესაბამისი სამედიცინო დახმარება (მომსახურება) პაციენტს;

5.1.4. ოპერატიულად მიაწოდოს „შემსყიდველს“ ინფორმაცია, რაც უკავშირდება „მიმწოდებლის“ მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობის გაწევის შეფერხებას და/ან შეწყვეტას (მაგ.: სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიის/ნებართვის შეჩერება, ჩამორთმევა და ა. შ.).

5.1.5. „შემსყიდველის“ მოთხოვნის შესაბამისად მიაწოდოს მას ნებისმიერი ინფორმაცია თუ დოკუმენტი, რომელიც უკავშირდება პროგრამის ადმინისტირებას და/ან ამ მუხლის 5.3.1. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებას;

5.1.6. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების განხორციელებისას ზედმიწევნით და განუხრელად დაიცვას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები და „შემსყიდველის“ მიერ დადგენილი (მიღებული) მოთხოვნები (ამ უკანასკნელის არსებობის შემთხვევაში).

5.2. „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია:

5.2.1. მიიღოს „შემსყიდველისაგან“ პროგრამის მიხედვით შესრულებული მომსახურების საფასური;

5.2.2. მოითხოვოს „შემსყიდველისაგან“ ხელშეკრულების სხვა პირობების შესრულება.

5.3. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

5.3.1. აუნაზღაუროს „მიმწოდებელს“ გაწეული სამედიცინო მომსახურების საფასური კანონმდებლობის შესაბამისად;

5.3.2. გააცნოს „მიმწოდებელს“ ამ მუხლის 5.4.3. პუნქტის შესაბამისად მიღებული (გამოცემული) აქტი. გაცნობად ჩაითვლება აქტის „შემსყიდველის“ ვებ-გვერდზე (www.ssa.gov.ge) გამოქვეყნება;

5.3.3. დაიცვას ხელშეკრულების სხვა პირობები.

5.4. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია:

5.4.1. მოთხოვოს „მიმწოდებელს“ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულება;

5.4.2. მოთხოვოს „მიმწოდებელს“ დამატებითი ინფორმაცია და დოკუმენტები, რაც უკავშირდება „მიმწოდებლის“ მიერ გაწეულ მომსახურებას;

5.4.3. საჭიროების შემთხვევაში, პროგრამით გათალისწინებული ურთიერთობების დარეგულირების მიზნით, მიიღოს (გამოსცეს) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლის შესრულებაც სავალდებულოა „მიმწოდებლისათვის“ იმ მოცულობით, რაც უკავშირდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევას. ამ პუნქტით გათვალისწინებული აქტის მიღება წარმოადგენს „შემსყიდველის“ უფლებას და არა ვალდებულებას.

6. ხელშეკრულების შეწყვეტა

6.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

6.1.1. ურთიერთვალდებულებების შესრულებით;

6.1.2. მხარეთა შეთანხმებით;

6.1.3. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და/ან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

6.2. მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, ინიციატორი მხარე მეორე მხარეს უგზავნის წერილობით შეტყობინებას.

6.3. წერილობითი შეტყობინება არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან, შეთანხმების მიღწევამდე.

6.4. „შემსყიდველს“ შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, ვალდებულებების შეუსრულებლობის შესახებ „მიმწოდებელის“ წერილობითი ინფორმირების შემდეგ:

6.4.1. თუ „მიმწოდებელს“ „დადგენილებით“ გათვალისწინებულ ან „შემსყიდველის“ მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია შეასრულოს შესაბამისი მომსახურება ან მისი ნაწილი;

6.4.2. თუ „მიმწოდებელს“ არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;

6.5. „შემსყიდველს“ ცალმხრივად შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

6.5.1. თუ „შემსყიდველისათვის“ ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო „მიმწოდებელი“ ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

6.5.2. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

6.6. „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ცალმხრივად შეწყვეტა ხორციელდება „დადგენილებით“ გათვალისწინებული პირობებით.

6.7. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7. ფორს-მაჟორი

7.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

7.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული „შემსყიდველისა“ და/ან „მიმწოდებლის“ შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

7.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოების ზეგავლენისაგან.

8. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

8.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.

8.2. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

9. სადავო საკითხების გადაწყვეტა

9.1. „შემსყიდველმა“ და „მიმწოდებელმა“ ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული გარემოებების ირგვლივ წარმოშობილი ყველა უთანხმოება და დავა უნდა მოაგვარონ ურთიერთშეთანხმების გზით.

9.2. სადაო საკითხის შეთანხმების გზით მოგვარების შეუძლებლობის შემთხვევაში, მხარეებს შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან. მისი მოქმედება ვრცელდება 2020 წლის 1 ნოემბრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე და მოქმედებს 2021 წლის 30 აგვისტოს ჩათვლით.

11. სხვა პირობები

11.1. მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.

11.2. ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.

11.3. მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.

11.4. ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობის, ხელშეკრულების პირობების დარღვევის შესახებ და ა.შ., თუ წინასწარ არ მოხდა შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.

11.5. კონფიდენციალობის დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება წარმოადგენს კანონის ან კანონის საფუძველზე ხელისუფლების რომელიმე ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მოთხოვნას.

11.6. ხელშეკრულების რომელიმე ნორმის (მუხლი, პუნქტი) ბათილად ან გაუქმებულად გამოცხადება არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების ბათილობას ან გაუქმებას. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების რომელიმე ნორმის (მუხლის, პუნქტის) ბათილობის/გაუქმების საფუძველია საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილება, რაც ამოქმედდა წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, მხარეები ვთანხმდებით, რომ ამ შემთხვევაში არ არის სავალდებულო ხელშეკრულებაში კორექტირების შეტანა შეთანხმებით, ხოლო ბათილად/გაუქმებულად გამოცხადებული ხელშეკრულების ნორმის (მუხლის, პუნქტის) ნაცვლად მხარეები იხელმძღვანელებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

11.7. წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში მხარეთა შორის ინფორმაციის გაცვლა, შეტყობინების გაგზავნა და ა. შ. შესაძლებელია განხორციელდეს როგორც წერილის გაგზავნით, ისე ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

11.8. ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის უქმე ან დასვენების დღეებზე დამთხვევის შემთხვევაში, შესაბამისი პირობა უნდა შესრულდეს არა უგვიანეს დადგენილი ვადის მომდევნო სამუშაო დღეს.

11.9. წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით. წინამდებარე ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

11.10. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ერთ ეგზემპლარად და ხელმოწერილი იქნება მხარეთა უფლებამოსილი პირების მიერ, „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით, რომელთაგან თითოეული მხარის ელექტრონულ ვერსიას აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

12. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი"
სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო	შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“
ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №144,	მისამართი: ქ.თბილისი, მ. ასათიანის ქ. №9
საიდენტიფიკაციო კოდი №202178927	ს/ს ლიბერთი ბანკი, ს/კ№236035517
	ა/ა №GE86LB0113112241617000
ლევან გოგოძე	Nugzar Bolkvadze Digitally signed by Nugzar Bolkvadze Date: 2020.12.22 18:30:28 +04'00'
დირექტორის მოადგილე	ნუგზარ ბოლქვაძე
	დირექტორი

ვიზირებულია: გ. გელაშვილი

ტ. იშხნელი

მ. ნასყიდაშვილი

კ. ჩხარტიშვილი

ა. ვასაძე

LEPL SOCIAL SERVICE AGENCY

Digitally signed by LEPL SOCIAL SERVICE AGENCY
Date: 2020.12.22 16:32:25 +04'00'

დანართი N1

N	მუნიციპალიტეტი	თანხა (ლარი)
1	შპს რეგიონალური ჯანდაცვის ცენტრი–ამბროლაური	22500
2	შპს რეგიონალური ჯანდაცვის ცენტრი–თიანეთი	22000
3	შპს რეგიონალური ჯანდაცვის ცენტრი–ცაგერი	21500
4	შპს რეგიონალური ჯანდაცვის ცენტრი–ბაკურიანი	6000
5	შპს რეგიონალური ჯანდაცვის ცენტრი–წალკა	24000
6	შპს რეგიონალური ჯანდაცვის ცენტრი–თეთრიწყარო	23000
7	შპს რეგიონალური ჯანდაცვის ცენტრი–ყაზბეგი	9000
8	შპს რეგიონალური ჯანდაცვის ცენტრი–გუდაური	8688.38
9	შპს რეგიონალური ჯანდაცვის ცენტრი–დუისი	28000
10	შპს რეგიონალური ჯანდაცვის ცენტრი–ონი	16000
	ჯამი:	180688.38

„შემსყიდველი“

ლევან გოგოძე
დირექტორის მოადგილე

„მიმწოდებელი“

ნუგზარ ბოლქვაძე
დირექტორი

2020 წ.

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ჩვენ ქვემოთ ხელმომწერნი ვადასტურებთ, რომ ჩვენი მონაწილეობა საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის N674 დადგენილებით დამტკიცებული „სოფლის ექიმის“ (დანართი N17.2), სახელმწიფო პროგრამის მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მომსახურების განხორციელების (სპეცდაფინანსებაზე მყოფი სამედიცინო დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით, დამატებითი ღონისძიებების განხორციელების უზრუნველყოფა) მიზნით გაფორმებულ ხელშეკრულებაში **N2703030702/20/38/დ** (შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“) არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის მე – 8 მუხლით დადგენილ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესებს.

აღნიშნულს ვადასტურებთ ხელისმოწერით:

ლევან გოგოძე _____

გიორგი გელაშვილი _____

ავთანდილ ვასაძე _____

მაგდა ნასყიდაშვილი _____

ტარიელ იშხნელი _____

კახაბერ ჩხარტიშვილი _____